ოქმი №3

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომისა, რომელიც გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში 2025 წლის 5 დეკემბერს.

სხდომა დაიწყო 12:00 საათზე, დამთავრდა 12:20 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები – გ. წურწუმია, ბ. კალანდარიშვილი, ზ. ყურაშვილი, ბ. შარტავა, გ. ოდიშარია, ვ. ჩიქობავა, მ. ნანეიშვილი, ნ. ხუხუნი, ვ. კირცხალია.

ასევე ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - ელგუჯა კვაშილავა.

სხდომას თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე – გ. შომახია.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2025 წლის 28 ნოემბერს შემოსული სენაკის მუნიციპალიტეტის უსახელო ქუჩის მოსახლეობის განცხადების (სარეგისტრაციო N19/41253321-41) განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. შომახია

2. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2025 წლის 1 დეკემბერს რეგისტრირებული სენაკის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის ელიზბარ ოდიშარიას მოხსენებითი ბარათის (სარეგისტრაციო N19/41253354) განხილვის თაობაზე სენაკის მუნიციპალიტეტის მშვიდობის ქუჩის III შესახვევის სახელის შეცვლასთან დაკავშირებით

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. შომახია

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 9; წინააღმდეგი – 0). სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს: 1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2025 წლის 28 ნოემბერს შემოსული სენაკის მუნიციპალიტეტის უსახელო ქუჩის მოსახლეობის განცხადების (სარეგისტრაციო N19/41253321-41) განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. შომახია

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2025 წლის 28 ნოემბერს შემოსული სენაკის მუნიციპალიტეტის უსახელო ჰქუჩის მოსახლეობის განცხადების საფუძველზე კომისიას ქონდა შეხვედრა მოსახლეობასთან, სადაც აღნიშნეს, რომ დემეტრე თავდადებულის ქუჩის მიმდებარედ არსებობს ორი ჩიხი რომელსაც სახელი არ აქვს, ამიტოს მიზანშეწონილია უსახელო ორ ჩიხს ეწოდოს მიმდებარედ არსებული დემეტრე თავდადებულის ქუჩის I და II ჩიხი.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 9, წინააღმდეგი - 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. მომზადდეს განკარგულების პროექტი და დასკვნა რათა წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში გადასაგზავნად სარეგისტრაციო ნომრის მინიჭებასთან დაკავშირებით, შემდეგ სამთავრობო კომისიაში დადებითი დასკვნის მისაღებად.

მოისმინეს: 2. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2025 წლის 1 დეკემბერს რეგისტრირებული სენაკის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის ელიზბარ ოდიშარიას მოხსენებითი ბარათის (სარეგისტრაციო N19/41253354) განხილვის თაობაზე სენაკის მუნიციპალიტეტის მშვიდობის ქუჩის III შესახვევის სახელის შეცვლასთან დაკავშირებით

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. შომახია

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2025 წლის 1 დეკემბერს რეგისტრირებული სენაკის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის ელიზბარ ოდიშარიას მოხსენებითი ბარათის საფუძველზე კომისიას ჰქონდა შეხვედრა მშვიდობის ქუჩის III შესახვში მცხოვრებ მოსახლეობასთან, რომლებმაც ერთხმად გამოთქვეს სურვილი მშვიდობის ქუჩის III შესახვევს გადაერქვას სახელი და ეწოდოს გაგრის ქუჩა.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 9, წინააღმდეგი - 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. მომზადდეს განკარგულების პროექტი და დასკვნა რათა წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში გადასაგზავნად სარეგისტრაციო ნომრის მინიჭებასთან დაკავშირებით, შემდეგ სამთავრობო კომისიაში დადებითი დასკვნის მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი შომახია